ტესტი ლიტერატურაში

2015

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!

ლიტერატურის ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება: I. ქართული ლიტერატურა; II. წერითი დავალება.

ტესტის მაქსიმალური ქულაა – 80.

ყურადღებით გაეცანით საგამოცდო ტესტის ბუკლეტს და შემდეგ შეავსეთ პასუხების ფურცელი. ტესტის ბუკლეტში ჩაწერილი პასუხები მხედველობაში არ მიიღება.

დაკვირვებით წაიკითხეთ ყოველი დავალების პირობა.

პასუხების ფურცელში წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისათვის გამოყოფილი ადგილები.

შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

ორივე წერითი დავალების შესრულება სავალდებულოა. შეგიძლიათ თხზულებები ტესტის ბუკლეტში ჯერ შავად დაწეროთ, ხოლო შემდეგ გადაათეთროთ.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!
გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომელიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!
არსად მიუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება!**

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ქართული ლიტერატურა

(1) **1. გაიხსენეთ იაკობ ხუცესის თხზულება „შუშანიკის წამება“.**
რას ეფუძნება მოსაზრება, რომ „შუშანიკის წამების“ ტექსტი ჩვენამდე სრული სახით არ არის მოღწეული?

(1) **2. იოანე საბანისძის თხზულებაში „აბო თბილელის წამება“ აბოს დამბეზღებლები ამ სიტყვებით მიმართავენ თბილისის ამირას:** „აწ ბრძანე შეპყრობაი მისი და შეაგდე იგი სატანჯველსა და გუემასა... უკუეთუ არა, მოკუედინ იგი, რაითა არა მობაძავ იქმნენ მისა მრავალნი სიტყვითა მისითა“.
რატომ უნდა დაისაჯოს, დამსმენთა აზრით, აბო?

(2) **3. გაიხსენეთ გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.**
1. ხანძთელის ახლობლებმა ისურვეს მისი ხუცად კურთხევა. რა უპასუხა მათ გრიგოლმა?
2. რა მოიმოქმედა გრიგოლმა, როცა ახლობლებმა მისი ეპისკოპოსად კურთხევა მოინდომეს?

(6) **4. გაიხსენეთ ავთანდილის ანდერძი შოთა რუსთველის პოემიდან „ვეფხისტყაოსნი“.**
1. რა მიაჩნია ავთანდილს ყოველგვარი უბედურების სათავედ?
2. ავთანდილის აზრით, რა არის ცოდნის, სიბრძნის დაუფლების საბოლოო მიზანი?
3. ავანდილის აზრით, რა აღამაღლებს ადამიანს სულიერად?
4. ვის ავტორიტეტს იმოწმებს იგი ამ თემაზე საუბრისას?
5. რატომ არ შეუძლია ავთანდილს, რომ არ წავიდეს ტარიელის დასახმარებლად?
6. რომელი ადამიანური სისუსტის შესახებ საუბრობს ავთანდილი, როდესაც მამაკაცს ადარებს „დიაცსა ქსლისა მბეჭველსა“?

(1) **5. გაიხსენეთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „გოგჩა“.**
რა არის ამ ლექსის მთავარი სათქმელი?

(2) **6. გაიხსენეთ გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა“.**
რა ორ ძირითად ბრალდებას უყენებს ავტორი შვილების თაობას?

(2) **7. გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“.**
1. რამ განაპირობა პირველი გამარჯვების შემდეგ ქართველთა მარცხი?
2. პოემის ფინალის თანახმად, რა ჰქონდა გადაწყვეტილი ერეკლე მეორეს?

(1) **8. გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“**
ლუარსაბის ქონების ჩამოთვლის შემდეგ, ავტორის აზრით, მკითხველს შესაძლოა ამგვარი კითხვა გაუჩნდეს – „მაშ რაღად სდგას ეგრე ცუდად?“
რა „კაი საბუთი“ მოჰყავს ამ კითხვის პასუხად ილია ჭავჭავაძეს?

(2) **9. გაიხსენეთ აკაკი წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავი“.**
1. რომელი საუკუნის ამბავი არის აღწერილი პოემაში?
2. რისთვის გამოიყენეს ქართველებმა ბერძენთა დახმარების სანაცვლოდ მიღებული სიმდიდრე?

(2) **10. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ მტრის მიერ მოხევეთა „პირველი სანგალის“ აღების შემდეგ ონისე გზად მიმავალ მოხევეებს გადაეყარა.**

1. რატომ ეხვეწებოდა ონისე მოხევეებს, რომ დაუყოვნებლივ მოეკლათ იგი?
2. როგორ მოექცნენ მოხევეები ონისეს, რომელიც იხვეწებოდა – მომკალითო?

(3) **11. გაიხსენეთ ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“.**

1. რა საზარელი ხილვა ჰქონდა სასაფლაოზე მყოფ აღაზას?
2. რა უპასუხა ცოლმა ჯოყოლას კითხვაზე – რატომ იყო ნამტირალევი?
3. ჯოყოლას რა თვისება ჩანს იმაში, რომ მან აღაზას საქციელი მოუწონა?

(2) **12. გაიხსენეთ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“.**

1. ვის მიმართავს ამ ლექსის ლირიკული გმირი?
2. რით არის გამოწვეული ლექსში გამოხატული სასოწარკვეთილება?

(1) **13. გაიხსენეთ გიორგი ლეონიძის ლექსი „ყივჩაღის პაემანი“.**

როგორ იღუპება ყივჩაღი?

(2) **14. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობიდან „იგი“:** „...ბოლოს სხივის დედა დაინახა, ღამის თვალი, რომელიც ღრუბელზე იჯდა და იგის უყურებდა. მთელი ცა ბრჭყვიალა კენჭებით იყო მოფენილი“.

1. რას აღნიშნავს სიტყვები – „ღამის თვალი“?
2. რას აღნიშნავს სიტყვები – „ბრჭყვიალა კენჭები“?

(2) **15. გაიხსენეთ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.**

1. ვასიკო კეჟერაძის აზრით, ვინ უნდა მოათავსონ კარცერ-ლუქსში?
2. ვასიკო კეჟერაძის აზრით, როდის უნდა გაათავისუფლონ „დამნაშავე“ კარცერ-ლუქსიდან?

II. წერითი დავალებები

წერითი დავალებების ინსტრუქცია:

თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, ტექსტის პერიფრაზია ან არაადეკვატურადაა გაგებული, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება, ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, **ნაწერი არ გასწორდება და დაიწერება 0 ქულა.**

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი. <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული</u>.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (მაგალითებით საკუთარი მოსაზრებების დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის ტესტში დატოვებულია გვერდები, მაგრამ **სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელში შესრულებული ნამუშევარი.**

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით. არსად მიუთითოთ თქვენი სახელი ან გვარი, თორემ ნაშრომი არ გასწორდება!

თითოეული წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

დავალება № 1

„ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილია, როგორ მივიდა ავთანდილი მეორედ ტარიელის სანახავად. ასმათთან საუბრისას ავთანდილმა საყვედური გამოთქვა, რომ ტარიელი, პირობის მიუხედავად, გამოქვაბულში არ დახვდა.

„კვლა ქალი ეტყვის: „მართალ ხარ მაგისსა დამძიმებასა!
მაგრა რა გავბრჭო მართალი, ნუ მეჭვ რასაცა თნებასა:
არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?
იგი უგულო მოელის მართ დღეთა შემოკლებასა.
    გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან:
    რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან;
    უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.
    შენ არ გინახვან, არ იცი, მას რომე ცეცხლი სწვიდიან!
შენ უმართლე ხარ, ემდურვი, შენ გაეყარე ძმობილსა,
მაგრა ვით ითქმის, ვით გახდა, ვით რა გიამბო ცნობილსა?!
ენა დაშვრების, გაცვთების, გულსა შეელმის ლმობილსა;
ამას მით ვაზრობ, მინახავს მე, უბედურსა შობილსა.
    ჯერთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბად ჰსმენია.
    არა თუ კაცთა, სასჯელი ქვათაცა შესაძრწენია!
    დიჯლადცა კმარის, მას რომე თვალთაგან ცრემლი სდენია;
    თვით რაცა ჰბრძანოთ, მართალ ხართ: სხვა სხვისა ომსა ბრძენია!

მას წამავალსა ვჰკითხევდი, დამწვარსა, ცეცხლ-მოდებულსა:
„მოვიდეს, რა ქმნას ავთანდილ? მისსა დამვედრე დებულსა“.
მიბრძანა: „მო-და-მნახვიდეს მე, მისთვის გაცუდებულსა,
ამათ არ დავჰყრი არეთა, არ გავსტეხ მას ქადებულსა.
მას ზენაარსა არ გავსტეხ, მას ფიცსა არ ვეცრუები,
მად პაემნამდის მოვიცდი, რაზომცა გამდის რუები;
თუ მკვდარი მნახოს, დამმარხოს, თქვას ვაგლახი და უები,
ცოცხალი დავჰხვდე, უკვირდეს, სიცოცხლე არს სათუები“.
ჩემთვის გარდახდა მას აქათ გაყრა მზისა და ქედისა;
ოდენ მოდენა ცრემლისა მჭირს, ველთა მოსალბედისა;
მსჯის გამრავლება, ხელ-ქმნილსა, სულთქმისა ზედა-ზედისა,
დავვიწყებივარ სიკვდილსა, ნახეთ ნაქმარი ბედისა!
ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:
„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.
აწ ზაფრანია, ვის წინას ვერ ვარდი ჰგვანდის, ვერ ია;
თუღა მოჰნახავ, მონახე, ქმენ, რაცა შენი ფერია.“

ყურადღებით წაიკითხეთ გივი გეგეჭკორის ლექსი „წიგნი მიწერილი ასმათსა თანა“:

„მე წიგნი ხელში ავიღე, მხედარს
რომ გავყოლოდი და მასთან მევლო,
შენ ხარ გულწრფელი ყველაზე მეტად
შენ, სხვის ცრემლებზე დაღვრილო ცრემლო!
ბევრი უძილო ღამე ათია
და მხოლოდ ასე გაიგო კაცმა,
რომ ღამე დღეზე მუხანათია...
ხელს არ გაუწვდი ტარიელს, ასმათ?

ღმერთო ძლიერო, რა უფორმოა
სხეული ღამის და რეპტილიის,
უნდა გათენდეს, ღამე ორმოა,
ორმოში ისმის კაცის ტირილი...
უნდა გათენდეს, მას გულს უფლითავს
ღამე, დამდგარი წყვდიადის რაზმად,
შენი მზერითაც და საუბრითაც
არ ანუგეშებ ტარიელს, ასმათ?

ის ლექსის მზიდან და ბურუსიდან
ლექსის მზეში და ბურუსში მიდის,
ქალს ნანადირევს ქვაბში უზიდავს
და უმკლავდება ნაღველთან ჭიდილს.
ის მდინარესთან დასვა მგოსანმა
და გადარია ცრემლმა და ბრაზმა,
მე ვხედავ, იგი სულ ახლოსაა,
ხელს არ გაუწვდი ტარიელს, ასმათ?

მე ვხედავ, შედგა უზანგზე ფეხი
და მერე ცხენზე ჯდება ვასალი
ნესტან-დარეჯნის და გრგვინავს მეხი,
ნელა ირხევა წვიმა თმასავით.
და ცა ჰგავს ქუდის გაცვეთილ სარჩულს...
მიდის მხედარი... არ წავა არსად,
თუ ეტყვი და ის გაიგებს ქართულს...
ხელს არ გაუწვდი ტარიელს, ასმათ?

ის მიდის დილის ნამით ნაბანი
და აფრთხობს მძორზე დაფენილ ჭილყვავს,
განა ჭენებით, ცხენი დაბალი
ანდა მადალი შაირით მიჰყავს.
შენს იქით ვერსად ვერ წავა, დაჯექ
და ანუგეშე, გაწყვეტილ თასმას
თუ დაუკერებ, დაანგრევს ქაჯეთს,
ხელს არ გაუწვდი ტარიელს, ასმათ?

თავისუფალი, ლაღი და მკაცრი
მღერით, საუბრით და ლიტურგიით
ლექსი სტრიქონის თექვსმეტი მარცვლით
თითქოს მდინარის ბრწყინავს ზურგივით.
ის უსათუოდ დაიხსნის ნესტანს
თავგანწირვის და სიცოცხლის ფასად
და ივლის ასე და მივა მზესთან...
ხელს არ გაუწვდი ტარიელს, ასმათ?“

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ „ვეფხისტყაოსნის“ მოცემული მონაკვეთის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ ასმათის დამოკიდებულებას ტარიელის მიმართ).
- იმსჯელეთ გივი გეგეჭკორის ლექსის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ მოცემული ტექსტების ურთიერთმიმართებას).
- იმსჯელეთ მოცემული ტექსტების მხატვრული ღირსებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

1880 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა:

„განა მარტო სარწმუნოებაზედ, რჯულზედ არის ახლანდელი კაცობრიობის ცხოვრება დამყარებული? განა არ შეიძლება კაცი ან ხალხი არც ქრისტიანი იყოს, არც მაჰმადიანი, არც კერპთთაყვანისმცემელი, მაგრამ კარგი კაცი ან კარგი ხალხი იყოს, კარგს განათლების გზაზედ დამდგარი და ცხოვრებაში ყოველმხრივ წარმატებული?.. სარწმუნოების საქმე სინდისის საქმეა, რა ჩვენი საქმეა – ვინ როგორ სარწმუნოებას აღიარებს, ვინ რა რჯულის არის? რა რჯულიც ჰსურს, იმ რჯულზე იყოს; მხოლოდ კარგი, პატიოსანი კაცი იყოს, მშრომელი და თავისთვის და ქვეყნისათვისაც სასარგებლო. თვითონ ჩვენი მაღალის და უზენაესის მოძღვრის იესო ქრისტეს სიტყვაა, რომ რჯული არ შეიქმს კაცს, არამედ საქმეო“.

არგუმენტირებული მსჯელობით დაასაბუთეთ ან უარყავით ეს მოსაზრება:

- იმსჯელეთ, რატომ ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოცემულ თვალსაზრისს და არგუმენტები მოიხმეთ სკოლაში შესწავლილი რომელიმე მხატვრული ნაწარმოებიდან.
- იმსჯელეთ თქვენ მიერ დამოწმებული ტექსტის მხატვრული ღირსებების შესახებ.
- ჩამოაყალიბეთ თქვენი პიროვნული პოზიცია წამოჭრილი პრობლემის მიმართ (მსჯელობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა მხატვრული ნაწარმოები, ფილმი, სპექტაკლი, ცხოვრებისეული გამოცდილება და ა. შ.).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

შავი სამუშაოსათვის: